ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა “პ”

ბრძანება:**ბ44. 44253229**

თარიღი:**18/11/2025**

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის იურიდიული განყოფილების მეორე კატეგორიის უფროს სპეციალისტ ზიტა გულეიშვილისათვის დროებით ამავე სამსახურის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტის /პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი/ ფუნქციების დაკისრების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 50-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-4, მე-5, მე-6, მე-7 და მე-9 პუნქტების, ,,პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული სამსახურის ხელმძღვანელ პეტრე ადამაძის 2025 წლის 17 ნომერბის N 01-4425321486 მოხსენებითი ბარათისა და ზიტა გულეიშვილის თანხმობის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დაეკისროს ზიტა გულეიშვილს, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის იურიდიული განყოფილების მეორე კატეგორიის უფროს სპეციალისტს, დროებით, ამავე სამსახურის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტის /პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი/ ფუნქციები (სხვა ფუნქციები) 2025 წლის 17 ნოემბრიდან.

2. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის სტრატეგიული კომუნიკაციების განყოფილებამ უზრუნველყოს ქ. ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ოფიციალურ ვებგვერდზე - https://www.kutaisi.gov.ge/ - პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის დროებით ფუნქციების შემსრულებლის ვინაობისა და საკონტაქტო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნება.

3. ამასთან, გათავისუფლდეს ზიტა გულეიშვილი ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის იურიდიული განყოფილების მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის ძირითადი ფუნქციების შესრულებისაგან.

4. თანამდებობრივი სარგო განესაზღვროს ქალაქ ქუთაისის საკრებულოს მიერ დამტკიცებული პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტისათვის /პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი/ გათვალისწინებული სარგოს განაკვეთის ოდენობით.

5. ბრძანება, შეიძლება, გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვიქტორ კუპრაძის ქუჩა N11/ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

6. ბრძანება ძალაში შედის კანონით დადგენილი წესით.

დავითი ერემეიშვილი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი